ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ახდენს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად.

2021 წლის 20 ნოემბრამდე მომზადდა 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ყველა მონაცემი და პარამეტრი, კერძოდ მერიის, საკრებულოს სამხედრო სამსახურის ყველა ის ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული იყო 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტებისათვის დასაფინანსებელი თანხები. აღნიშნული მონაცემების მიხედვით ყველა სახის საქონელი, მომსახურეობა და სამუშაო გაწერილი იქნა კოდების, მონეტარული ზღვრების და შესყიდვის სახეების მიხედვით და კანონის შესაბამისად 2021 წლის 20 ნოემბერს განთავსებული იქნა ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული გეგმის შეთანხმება მოხდა როგორც მერთან ასევე საკრებულოს თავმჯდომარესთან და სამხედრო სამსახურთან.

სამსახური შესყიდვების განხორციელების პერიოდში განსაკუთრებით იცავდა სახელმწიფო შესყიდვების ძირითან პრინციპებს და შესაბამის რეკომენდაციას უწევდა სატენდერო კომისიას და ინსპექტირების ჯგუფს, რათა დაცული ყოფილიყო შესყიდვების განხორციელების დროს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვა, კონკურენციული გარემოს შექმნა, მიმწოდებლების მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და განხორციელებული შესყიდვების საჯაროობა.

შესყიდვების განხორცეიელების დროს საქართველოს მთავრობის განკარგულების, მერის ბრძანებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის კოდების შესაბამისად კორექტირებები ხდებოდა შესყიდვების გეგმაში.

2022 წელში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებულია 116916,80 ლარის შესყიდვა, გაფორმებულია 119 ხელშეკრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იქნა 5223300 (ხუთიმილიონორასოცდასამიათასსამასი) ლარი. გაფორმდა 21 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებით გამოყოფილი იქნა 1825000 (ერთიმილიონრვასოცდახუთიათასი) ლარი. გაფორმდა 24 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით (გრანტი) 2022 წელში გამოყოფილი იქნა 3736130 (სამიმილიონშვიდასოცდათექვსმეტიათასასოცდაათი) ლარი. გაფორმდა 3 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებით 2022 წელში გამოყოფილი იქნა 524489 (ხუთასოცდაოთხიათასოთხასოთხმოცდაცხრა) ლარი. გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის და სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით გამოყოფილი 943293 (ცრაასორმოცდასამიათას ორასოთხმოცდაცამეტი) ლარით, განხორციელებული იქნა 4 შესყიდვა, შესაბამისად გაფორმებულია 4 ხელშეკრულება.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით 2022 წელში გაფორმდა 5 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით განმოყოფილი იქნა 730000 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებით შესყიდვა განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. მერიის მიერ ჩატარებულ იქნა სოფლებში კრებები, ჩამოყალიბდა პრიორიტეტები განსახორციელებელი პროექტების შესაბამისად . ჩატარდა მიმწოდებელთა ბაზრის ელექტრონული მოკვლევა, შესყიდვა განხორციელდა ძირითადი პრინციპების დაცვით. შემუშავებული იქნა ბაზრის მოკვლევის ელექტრონული წესი, რომელიც გამოქვეყნებული იქნა ინფორმაციის წყაროში და საჯარო იყო ყველა დაინტერესებული პირისათვის. დაცული იქნა საჯაროობა, არადისკრიმინაციული მიდგომა და რაციონალური ხარჯვა.

შესყიდვაში ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია დაეგზავნა 1 ლოტზე არანაკლებ 3 მიმწოდებლის სულ 72 მიმწოდებელს. დამუშავდა, დაიგზავნა და სისტემაში აიტვირთა დიდი მოცულობის დოკუმენტაცია. სისტემაში განთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგინა 38 მიმწოდებლმა. აქედან ხელშეკრულება გაფორმდა ბაზრის მოკვლევაში გამარჯვებულ 23 მიმწოდებელთან.

ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ეკონომიით, სოფლების მიხედვით შესრულდა დამატებითი სამუშაოები. გაფორმდა 16 ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 62681.74 (სამოცდაორიათასექვსასოთხმოცდაერთი ლარი და 74 თეთრი) ლარი. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სულ გაფორმდა 47 ხელშეკრულება, თანხით 727537.15 (შვიდასოცდაშვიდიათასხუთასოცდაჩვიდმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი.

განკარგულებების მიხედვით სულ 2022 წელში გაფორმებულ იქნა 113 ხელშეკრულება. გამარტივებული შესყიდვით 119 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 14 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 96 ხელშეკრულება.

2022 წელში სულ ჩატარებულ იქნა 108 ელ. ტენდერი, მათ შორის არ შედგა 7, უარყოფითი შედეგით დასრულდა 4, შეწყვეტილია 1 ელ ტენდერი. ტენდერში მონაწილეთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 2,5 მონაწილე.

ელექტრონული ტენდერით შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილია სატენდერო კომისია და სატენდერო კომისიის აპარატი, რომელიც პასუხისმგებელია სატენდერო დოკუმენტაციის სწორად შედგენასა და ტენდერის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად განხორციელებაზე.

მერის ბრძანებით შექმნილია სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით, სატენდერო კომისიის აპარატი 3 კაცის შემადგენლობით. სატენდერო კომისიასა და აპარატს ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

2022 წელში ჩატარებული იქნა 162 სხდომა, განხილული იქნა 215 საკითხი.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და შესასრულებელი სამუშაოებისა და მომსახურეობაზე მიღება-ჩაბარების გაფორმებაზე პასუხისმგებელია მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით.

ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ხდება ყველა ცვლილება, კორექტირება, შესასრულებელი სამუშაოების ვადის გაგრძელების და მიმწოდებლებთან ყველა სახის ურთიერთოებები.

ინსპექტირების ჯგუფი ასევე მოიცავს ზედამხედველობის განხორციელებას.

2022 წელში ინსპექტირების ჯგუფის მიერ საჯარიმო სანქციები დაუწესდა 32. პირგასამტეხლომ შეადგინა 13102.17 ლარი.

შესყიდვის განხორციელებამდე სატენდერო კომისიის აპარატით ტენდერის შემთხვევაში და შესყიდვების სამსახური გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში აწარმოებს ბაზრის კვლევას, რაც ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული და მოიცავს დიდი მოცულობის დოკუმენტაციის მოპოვებას, დამუშავებას და სისტემაში განთავსება.

შესყიდვების სამსახური თავის მოვალეობას ასრულებს 5 კაცის შემადგენლობით: 1 სამსახურის უფროსი, 3 შესყიდვების სპეციალისტი და 1 ტექნიკური მუშაკი.

სამსახური უზრუნველყოფს საკრებულოს, მერიისა და შესაბამისი სამსახურების მატერიალურ ტექნიკურ უზრინველყოფას, რომ შეუფერხებლად წარმართოს სამსახურმა მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მერის ბრძანებით შექმნილ კომისიებში. სამსახური რეკომენდაციას აძლევდა სატენდერო კომისიის, ინსპექტირების ჯგუფს ხელშეკრულებებში პირობების ცვლილებების, კორექტირებებისა და შესრულების ვადების ცვლილების კუთხით. სამსახურის პოზიცია ცნობილია, რომ რაც შეიძლება

შემცირდეს ხელშეკრულებების პირობების, კორექტირებების და ვადების ცვლილებების შემთხვევები.

სამსახური აქტიურად მონაწილეობს კანონის შემუშავების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მივაწოდოთ კანონთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრებები.

სამსახურის საქმიანობის ამსახველი ყველა დოკუმენტაცია ატვირთულია ელექტრონულ სისტემაში და საჯაროა.

სამსახური თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ყველა სუბიექტთან: საკრებულოსთან, კომისიასთან, ფრაქციასთან, მერის ბრძანებით შექმნილ ა(ა)იპ-ებთან. არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ სამსახურისთვის მოემართონ და ყველა შემტხვევაზე არ გაგვეცეს ამომწურავი პასუხი. ასევე სამსახური მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს საჯარო ინფორმაციას კანონით დადგენილ ვადებში.

მე წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2022 წელში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ გოგიბერიძე